სემინარი არასათანადო მოპყრობის საჩივრების გამოძიებაზე

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია იწვევს იურისტებს **სემინარზე "არასათანადო მოპყრობის საჩივრებთან დაკავშირებული გამოძიების შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან"**. სემინარი განკუთვნილია სისხლის სამართლის სფეროში მომუშავე იურისტებისათვის.

სემინარს წარუძღვებიან ადამიანის უფლებათა სფეროში მომუშავე პროფესიონალი ექსპერტები: ბ-ნი ერიკ სვანიძე (ევროპის საბჭოს ექსპერტი) და ბ-ნი ბესარიონ ბოხაშვილი (ადგილობრივი ექსპერტი).

სემინარს ორგანიზებას უწევს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. სემინარს აფინანსებს ევროპის საბჭო.

სემინარის თემატიკა:

1) არაადამიანური მოპყრობის ფაქტების გამოძიება:

** გამოძიების ჩატარების ვალდებულების წარმოშობა და სამართლებრივი ბუნება
** გამოძიების ჩატარების მიზანი
** გამოძიების დაწყების საფუძველი
** არაადამიანური მოპყრობის ფაქტების გამოძიების ფორმები.

2) არაადამიანური მოპყრობის პრევენციის მექანიზმები და ამ მექანიზმების მნიშვნელობა არაადამიანური მოპყრობის ფაქტების გამოძიებისას:

** დაკავების შესახებ ინფორმაციის მიწოდება
** დამცველის ყოლის უფლება
** სამედიცინო შემოწმებისა და ექიმის ნახვის უფლება
** დაკავებულისათვის მისი უფლებების გაცნობა.

3) არაადამიანური მოპყრობის პრევენციის სხვა საშუალებები და მათი მნიშვნელობა არაადამიანური მოპყრობის ფაქტების გამოძიებისას:

** თავისუფლების აღკვეთის აღრიცხვის ბარათები
** ბრალდების მხარისა და სასამართლოს ვალდებულებები საწყის ეტაპზე
** თავისუფლების აღკვეთის ადგილებში სამედიცინო პერსონალის როლი
** თავისუფლების აღკვეთის დროს უფლებების შელახვასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდების სხვა საშუალებები.

4) კრიტერიუმები, რომელიც მიუთითებს არაადამიანური მოპყრობის ფაქტების გამოძიების ეფექტურობაზე:

** დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა
** გამოძიების ჩატარება უფლებამოსილი ორგანოს მიერ
** სრულყოფილი გამოძიება
** დროული გამოძიება
** დაზარალებულის მონაწილეობა გამოძიებაში და საზოგადოებრივი კონტროლი.

იმისათვის, რომ სემინარში მონაწილეობის შესაძლებლობა მიეცეს სისხლის სამართლის

სფეროში მომუშავე მაქსიმალურად მეტ იურისტს, ჩატარდება 3 იდენტური სემინარი, შემდეგი პერიოდულობით:

24-25 იანვარი, 2011 წელი.
31 იანვარი - 1 თებერვალი, 2011 წელი.
2-3 თებერვალი, 2011 წელი.

სემინარში მონაწილეობა უფასოა. მონაწილეები ორგანიზატორების მიერ უზრუნველყოფილნი იქნებიან აუცილებელი სასემინარო მასალებით, სადილითა და ყავა-შესვენებებით. თითოეული სემინარისათვის შეირჩევა 30 მონაწილე (სულ სამივე სემინარზე 90 მონაწილე). რეგიონებიდან თითოეულ სემინარზე შეირჩევა 10 მონაწილე (სულ 30 მონაწილე). მათ აუნაზღაურდებათ მგზავრობა და თბილისში სასტუმროში განთავსება 3 ღამით.

თითოეული სემინარი 2 დღიანია და ჩატარდება თბილისში, სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში", დილის 10.00 სთ-დან საღამოს 18.00 სთ-მდე.

განცხადებების მიღების ბოლო ვადაა **2011 წლის 18 იანვარი**.

დაინტერესების შემთხვევაში, გთხოვთ, გამოგვიგზავნოთ ავტობიოგრაფია (CV) და ზემოთ მითითებული თარიღებიდან თქვენთვის სასურველი ერთი თარიღი, შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: metreveli@gyla.ge

დავუკავშირდებით მხოლოდ შერჩეულ კანდიდატებს.

დამატებითი კითხვების შემთხვევაში, დაგვიკავშირდით: ტელ: 936101 (125).
საკონტაქტო პირი: თამარ მეტრეველი.